



ჯანმრთელობის
სახლი გურიაში

შპს „ჯანმრთელობის სახლი გურიაში“

საიდენტიფიკაციო ნომერი: 242005977

იურიდიული მისამართი: საქართველო, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი,
სოფელი ბუკნარი; სხვა (ფაქტური) მისამართი: საქართველო, დაბა ჩოხატაური,
ი. ჭავჭავაძის ქ. N1 ელ. ფოსტა: s.gudavadze@gmail.com

ტელ.: 555000864

შპს „ჯანმრთელობის სახლი გურიაში“-ს (ს/კ 242005977) 2023 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

გვერდი 3 - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

გვერდი 4 - მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებები მოგების ანგარიშგება

გვერდი 5 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

გვერდი 6 – 1. ზოგადი ინფორმაცია

გვერდი 6 – 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

გვერდი 7 – 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

გვერდი 12 – 4. განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

გვერდი 13 – 5. ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

გვერდი 17 – 6. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	<u>შენიშვნები</u>	<u>2023</u>	<u>2022</u>
<u>აქტივები</u>			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები	5.1	209,470	274,460
მოკლევადიანი მოთხოვნები	5.2	336,989	354,191
მარაგები	5.3	22,948	23,624
სულ მოკლევადიანი აქტივები		569,407	652,275
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5.4	1,396,431	1,139,523
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,396,431	1,139,523
<u>სულ აქტივები</u>		<u>1,965,838</u>	<u>1,791,798</u>
<u>ვალდებულებები და კაპიტალი</u>			
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	5.5	271,050	226,278
დაქირაბულ პირთა გასამრჯელოების მოკლევადიანი ვალდებულებები		269,254	268,684
გრძელვადიანი საბანკო სესხების მიმდინარე ნაწილი	5.6	99,085	48,670
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		15,945	12,758
დარიცხული ვალდებულებები		3,303	2,589
სულ მიმდინარე ვალდებულებები		658,637	558,978
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საბანკო სესხები	5.6	1,412,927	1,205,109
გადავადებული შემოსავალი	5.7	15,862	18,621
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,428,790	1,223,730
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
დაუფარავი ზარალი		{123,589}	0
გაუნაწილებელი მოგება		0	7,089.42
სულ კაპიტალი		(121,589)	9,089
<u>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</u>		<u>1,965,838</u>	<u>1,791,798</u>

გენერალური დირექტორი

სალომე გუდავაძე

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	<u>2023</u>	<u>2022</u>
ამონაგები	5.8	1,392,957	1,403,620
მომსახურების თვითღირებულება	5.9	(928,254)	(859,397)
<u>საერთო მოგება</u>		<u>464,703</u>	<u>544,223</u>
კომერციული ხარჯები		(2,320)	(2,480)
ადმინისტრაციული ხარჯები	5.10	(529,891)	(501,755)
<u>საოპერაციო მოგება</u>		<u>(67,508)</u>	<u>39,987</u>
არასაოპერაციო შემოსავლები	5.11	107,939	196,093
არასაოპერაციო ხარჯები	5.12	(169,068)	(111,127)
<u>მოგება დაბეგვრამდე</u>		<u>(128,637)</u>	<u>124,954</u>
მოგების გადასახადის ხარჯი	5.13	(2,042)	(227)
<u>პერიოდის მოგება/ზარალი</u>		<u>(130,678)</u>	<u>124,727</u>
 <u>გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი წლის დასაწყისში</u>		 <u>7,089</u>	 <u>(117,638)</u>
<u>გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი წლის ბოლოს</u>		<u>(123,589)</u>	<u>7,089</u>

გენერალური დირექტორი

სალომე გუდავაძე

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	<u>2023</u>	<u>2022</u>
<u>ნაშთი პერიოდის დასაწყისში</u>	<u>274,460</u>	<u>88,101</u>
მყიდველებიდან მიღებული ფული	1,351,375	1,600,984
მიღებული პროცენტები	1,494	0.00
გადახდები მომწოდებლებზე	(534,856)	(700,505)
გადახდილი გადასახადები	(180,924)	(152,944)
დაქირავებულ პირებზე გადახდილი		
გასამრჯელოები	(602,252)	(541,226)
საპენსიო შენატანები	(13,229)	(10,633)
საბანკო დაგარიცხვების საკომისიო	(3,094)	(18,614)
<u>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</u>	<u>18,514</u>	<u>177,062</u>
გადახდები ძირითადი საშუალებების შეძენა/შექმნაზე	(273,361)	(428,523)
<u>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</u>	<u>(273,361)</u>	<u>-428,523</u>
სესხის მიღება	305,000	1,413,080
სესხის პროცენტის სუბსიდია	67,990	48,315
გადახდილი გრძელვადიანი საბანკო სესხები	(43,547)	(931,116)
გადახდილი პროცენტები	(139,586)	(92,458)
<u>საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მოძრაობა</u>	<u>189,857</u>	<u>437,820</u>
<u>მთლიანი წმინდა ფულადი ნაკადების ზრდა/შეცირება</u>	<u>(64,990)</u>	<u>186,359</u>
<u>ნაშთი პერიოდის ბოლოს</u>	<u>209,470</u>	<u>274,460</u>

გენერალური დირექტორი

სალომე გულავაძე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯანმრთელობის სახლი გურიაში“ (შემდგომში საზოგადოება) რეგისტრირებულია ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წლის 24 თებერვალს. სარეგისტრაციო ნომერი 63/-4-93, იურიდიული მისამართი ჩოხატაურის რაიონი, სოფელი ბუკნარი, ფაქტობრივი მისამართი დაბა ჩოხატაური, ჭავჭავაძის ქ. N1. საიდენტიფიკაციო (საგადასახადო) კოდი 242005977. საზოგადოების წილის 100%-ს მფლობელია ფ/პ მამუკა გუდავაძე პ/ნ 46001009740, ხოლო ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი სალომე გუდავაძე პ/ნ 46001006089.

შპს „ჯანმრთელობის სახლი გურიაში“ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განეკუთვნება მესამე ზომითი კატეგორიის საწარმოს.

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის 86.10.0 კოდით განსაზღვრულ საავადმყოფოების საქმიანობები (ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო სერვისების მიწოდება).

საზოგადოების ფინანსური წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად. სააღრიცხვო პოლიტიკა მსს ფასს-ს შესაბამისად დამტკიცებულია 2022 წლის პირველ იანვარს, ხოლო ზემოაღნიშნულ სტანდარტზე გადასვლის თარიღი განისაზღვრება მსს ფასს სტანდარტის 35.6 პუნქტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ხელმძღვანელობის აზრით საწარმო გააგრძელებს თავის ჩვეულებრივ საქმიანობას მინიმუმ მომდევნო ერთი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მაინც.

ფინანსურ ანგარიშგება მომზადებულია სამუშაო ვალუტაში, ქართულ ლარში, საზოგადოება ფინანსურ ანგარიშგებას ამტკიცებს და წარადგენს ყოველწლიურად, არაგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

- საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას (ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით);
- მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებას;
- საანგარიშგებო პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას (პირდაპირი მეთოდით);
- სააღრიცხვო პოლიტიკას და ახსნა განმარტებით შენიშვნებს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

საწარმოს ფინანსური ინსტრუმენტები განეკუთვნება მსს ფასს სტანდარტის მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს და შესაბამისად ფინანსური ინსტრუმენტების სააღრიცხვო პოლიტიკა შერჩეულია მსს ფასს სტანდარტის მე-11 ფუნქტის (ა) ვარიანტის შესაბამისად.

ფინანსური აქტივები

საწარმოს ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებსა და მოკლევადიან სავაჭრო მოთხოვნებს.

ფულადი სახსრები შედგება ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ეროვნული და უცხოური ვალუტისაგან.

საქონლისა და მომსახურების კრედიტში რეალიზაციის შემთხვევაში სავაჭრო მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, მხარეებს შორის დადებული გარიგების ფასით. კრედიტში რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილ დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო მოთხოვნების შემდგომი შეფასება ხდება მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, დებიტორული დავალიანების ის ნაწილი რომელიც ამოღებას არ ექვემდებარება აღიარდება როგორც გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელი იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან (მაგალითად დებიტორის გადახდისუნარიანობის გაუმჯობესება), საწარმო უკუგატარებით აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილ გაუფასურების ზარალს.

საწარმო ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები უკვე მთლიანად მიღებულია.

ფინანსური ვალდებულებები

საწარმოს ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან სავაჭრო კრედიტებსა და საბანკო სესხებს.

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში, ვალდებულების აღიარება ხდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, არის შესყიდვის დოკუმენტში მითითებული ფასი.

მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებების შემდგომი შეფასება ხდება გადასახდელი დავალიანების თანხის არადისკონტირებული ღირებულებით.

გრძელვადიანი საბანკო სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება ბანკისთვის გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით. გარიგებასთან დაკავშირებული არსებითი დანახარჯები კაპიტალიზირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში, ხოლო გარიგებასთან დაკავშირებული არაარსებითი მნიშვნელობის დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საბანკო სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საბანკო სესხების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- (ა) თანხა, რომლითაც ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- (ბ) გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ.

საწარმო ფინანსური ვალდებულების, ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის აღიარებას წყვეტს იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღიარდება შემქმნის დანახარჯებით, მარაგის შემქმნის დანახარჯები მოიცავს შემქმნის ფასსა და ყველა ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგების თვითღირებულების შეფასებისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

საზოგადოების საქმიანობის სპეციკიდან გამომდარე მარაგები კლასიფიცირდება ორ განსხვავებულ კლასად:

- ა) მარაგები რომლებიც წარმოდგენილია ნედლეულისა და სახარჯი მასალების სახით და მონაწილეობს უშუალოდ სამედიცინო მომსახურების გაწევის პროცესში, და
- ბ) სხვა მატერიალური მარაგები, რომლებიც მომსახურების გაწევის პროცესში პირდაპირ არ მონაწილეობს და განკუთვნილია საერთო და ადმინისტრაციული მიზნებისათვის. მსგავსი ტიპის მარაგებზე გაწეული დანახარჯები არ კაპიტალიზირდება და შესაბამის საანგარიშგებო პირობებში აისახება მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის საწარმო აფასებს მარაგებს გაუფასურებაზე, მარაგი რომლის შეფასებითი ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება შეფასებული ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის საწარმო ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს და როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამოშვები გარემოებები საწარმო უკუგატარებით აღადგენს გაუფასურების თანხას, არაუმეტეს თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

ა) მისი ნასყიდობის ფასს;

ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

ძირითადი საშუალებების დავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისთვის გამოიყენება თვითღირებულების მეთოდი, რაც გულისხმობს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების შეფასებას თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელს პერიოდზე აქტივის ცვეთად ღირებულებაზე, რომელიც გამოითვლება თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ისეთ ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთა რომლებიც უშუალოდ სამედიცინო მომსახურების გაწევის პროცესში გამოიყენება აღიარდება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში.

ყველა ჯგუფის ძირითად საშუალებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების პერიოდის შესაბამისად:

- შენობები 20-40 წელი
- ნაგებობები 20-40 წელი
- მანქანა-დანადგარები 3-20 წელი
- ოფისის აღჭურვილობა - 2-7 წელი;
- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 2-7 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები 3-7 წელი;
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 5-20 წელი.

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

არამატერიალური აქტივი თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

ა) მისი ნასყიდობის ფასს;

ბ) უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს.

არამატერიალურ აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება თვითღერებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივს ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით.

არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების პერიოდი განსაზღვრულია 3-დან არაუმეტეს 10-წლამდე.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ აღიარდება ერთის მხრივ როგორც ვალდებულება და მეორეს მხრივ როგორც საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ხარჯი.

უშუალოდ საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სამედიცინო პერსონალის გასამრჯელოები აღიარდება საანგარიშო პერიოდში რეალიზებული პროდუქციის თვითღერებულებაში ხოლო, ადმინისტრაციისა და სხვა არასამედიცინო პერსონალის გასამრჯელოები საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის.

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

ფინანსური იჯარა ვადის დასაწყისისათვის აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში.

ფინანსური იჯარის შემდგომი შეფასება ხდება ფინანსური ხარჯებისა და დაუფარავი ვალდებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

კაპიტალი

საზოგადოების საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისაგან და გაუნაწილებელი მოგებისაგან.

საწესდებო კაპიტალის ღირებულება განსაზღვრულია საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტაციით და შეადგენს 2 000.0 (ორიათასი) ლარს.

გაუნაწილებელი მოგება შეიძლება გამოყენებული იქნას შემდგომი რეინვესტირებისთვის და დივიდენდად გასაცემად.

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა არ ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების საწესდებო კაპიტალში გადატანას.

ამონაგები და სხვა შემოსავალი

ამონაგების შეაფასება ხდება სამედიცინო მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის გამორიცხვით.

სხვა შემოსავლები მოიცავს ისეთ შემოსულობებს რომელიც არ განეკუთვნება საწარმოს ძირითადი საქმიანობის შედეგს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს საპროცენტო და სხვა დანახარჯებს, რომლებსაც საწარმო ეწევა ნასესხები სახსრების მიღებასთან დაკავშირებით.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება დანახარჯების გაწევა.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება გარდა მარაგისა

საწარმო აქტივის გაუფასურების ზარალს მაშინ აღიარებს, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმო საზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას.

აქტივის შესაძლო გაუფასურების ინდიკატორების განსაზღვრისთვის საწარმო შესაძლებლობების ფარგლებში იყენებს ინფორმაციის შიდა და გარე წყაროებს როგორცაა მოცემული პერიოდის განმავლობაში აქტივის საბაზრო ღირებულების მნიშვნელოვანი შემცირება, აქტივის მოძველების ან ფიზიკური დაზიანების მტკიცებულებებს და სხვა ხელმისაწვდომ ინფორმაციას.

იმ შემთხვევაში თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ რომელიმე აქტივთან დაკავშირებით წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი აღარ არსებობს ან შემცირებულია საწარმო ახდენს გაუფასურების ზარალის სრულ ან ნაწილობრივ კომპენსირებას.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის აღრიცხვა ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლით განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის შესაბამისად (ე.წ. ესტონური მოდელით).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აღიარდება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაანგარიშდება საბოლოო სავალუტო კურსის შესაბამისად.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების გადაანგარიშებისას აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

უსასყიდლოდ მიღებული გრძელვადიანი აქტივები

უსასყიდლოდ მიღებული გრძელვადიანი აქტივები აღირიცხება გადავადებული შემოსავალის მუხლში.

უსასყიდლოდ მიღებული გრძელვადიანი აქტივები გადავადებული შემოსავალის მუხლიდან შემოსულობებში გადაიტანება აქტივის სასარგებლო მომსახურების პერიოდის პროპორციულად, წრფივი მეთოდით დარიცხული ცვეთის შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები არის როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც მოხდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და იმ თარიღამდე, როდესაც ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენების არსებობის შემთხვევაში ხდება შესაბამისი კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენების მოხდენის შემთხვევაში აისახება შესაბამისი მოვლენები ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

4. განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებთან დაკავშირებით საზოგადოების ხელმძღვანელობა აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვთა და ტექნოლოგიური პროგრესი რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენ ღირებულებას ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საზოგადოება აქტივის ნარჩენი ღირებულების, ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილებას ასახავს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას.

შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში საწარმომ შეიძლება შექმნას საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების რეზერვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობამ შესაძლებელია გამოიყენოს შეფასების საფუძვლად დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობა, წარსულში ჩამოწერის გამოცდილება და მომხმარებლის კრედიტუნარიანობა.

5. ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

5.1 ფულადი სახსრები

	2023	2022
ნაღდი ფული სალაროში	1,385	1,377
ფული საბანკო ანგარიშებზე	208,085	273,083
<u>სულ ფულადი სახსრები</u>	<u>209,470</u>	<u>274,460</u>

ფულადი სახსრები მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და სალაროში არსებულ ეროვნულ ვალუტას.

5.2 მოკლევადიანი მოთხოვნები

	2023	2022
მოთხოვნები მომსახურებიდან	327,570	293,580
მოთხოვნები დაქირავებულ პირთა მიმართ	4,663	6,845
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	4,481	53,491
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	275	275
<u>სულ მოკლევადიანი მოთხოვნები</u>	<u>336,989</u>	<u>354,191</u>

მომსახურებიდან მოთხოვნებთან დაკავშირებით, როგორც მიმდინარე, ასევე შესადარის საანგარიშგებო პერიოდში არ აღიარებულა ზარალის რეზერვი, შესაბამისი გარემოებების არ არსებობის გამო.

5.3 მარაგები

	2023	2022
ნედლეული და მასალები	22,948	23,624
<u>სულ მარაგები</u>	<u>22,948</u>	<u>23,624</u>

ნედლეული და მასალები შედგება მედიკამენტებისაგან და სამედიცინო მომსახურების გაწევისთვის საჭირო სხვა სახარჯი მასალებისგან.

5.4 ძირითადი საშუალებები

მოძრაობა პერიოდის განმავლობაში	პირვანდელი ღირებულება	შემოსვლა	დაუმთ. მშენ. გადატაა	დაუმთ. მშენ. გადმოტანა	პირვანდელი ღირებულება
	31.12.2023				31.12.2022
დაუმთავრებელი მშენებლობა	0	176,422	597,561		421,140
შენობები	721,804			532,148	189,657
ნაგებობები	99,099	33,685		65,414	0
მანქანა-დანადგარები	998,861	140,753			858,109
ოფისის აღჭურვილობა	81,687	12,723			68,964

ავეჯი და სხვა ინვენტარი	282,290	22,709	259,581
სატრანსპორტო საშუალებები	10,868		10,868
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	29,704		29,704
ჯამი	2,224,312	386,291	1,838,021

ცვეთა	დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	დარიცხვა	დაგროვილი ცვეთა 31.12.2022
შენობები	82,928	25,351	57,578
ნაგებობები	5,250	5,250	0
მანქანა-დანადგარები	401,661	81,120	320,541
ოფისის აღჭურვილობა	66,358	3,377	62,982
ავეჯი და სხვა ინვენტარი	248,246	6,171	242,075
სატრანსპორტო საშუალებები	5,615	2,174	3,441
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	17,822	5,941	11,882
ჯამი	827,881	129,383	698,499
<u>საბალანსო ღირებულება</u>	<u>1,396,431</u>		<u>1,139,523</u>

ყველა ძირითადი საშუალება თავდაპირველი აღიარებისას აღიარებულია თვითღირებულებით, ხოლო საბალანსო ღირებულება შემცირებულია დარიცხული ცვეთის თანხით. 2023 წლის განმავლობაში არ მომხდარა ძირითად საშუალებების გასვლა და გაუფასურების ზარალის აღიარება, შესაბამისი პირობების არ არსებობის გამო.

ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, კომპიუტერული ტომოგრაფი დაგირავებულია სასესხო ვალდებულების უზრუნველსაყოფად. დაგირავებული ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 238,210 ლარს.

5.5 ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან

ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან მოიცავს ძირითადად მომწოდებლებზე გადასახდელ თანხებს. მოწოდებიდან და მომსახურებიდან ვალდებულებებში ჩართულია, ასევე საოპერაციო იჯარით მიღებული შენობის ფართისა და მიწის საიჯარო ვალდებულებები. ხარჯად აღიარებული საიჯარო გადასახდელები შეადგენს:

	2023	2022
შენობის იჯარის ხარჯი	90,000	75,000
მიწის იჯარა	6,000	6,000
<u>სულ იჯარის ხარჯი</u>	<u>96,000</u>	<u>81,000</u>

2023 წლის ბოლოს საზოგადოებას გააჩნია მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების შემდეგი ვალდებულებები: არაუგვიანეს ერთი წლისა 96,000 ლარი; ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა 384,000 ლარი.

5.6 საბანკო სესხები

მიღებული საბანკო სესხები	2023		2022	
	გრ. ნაწილი	მიმდ. ნაწილი	გრ. ნაწილი	მიმდ. ნაწილი
გრძელვადიანი სესხი უცხოურ ვალუტაში	433,282	39,876	474,243	39,535
გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში 1	319,421	26,595	344,079	5,921
გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში 2	173,400	14,437	186,786	3,214
გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში 3	186,672	13,328	200,000	0
გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში 4	91,555	3,445	0	0
გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში 5	124,382	618	0	0
გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში 6	84,215	785	0	0
<u>სულ საბანკო სესხები</u>	<u>1,412,927</u>	<u>99,085</u>	<u>1,205,109</u>	<u>48,670</u>

2023 წელს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული მთლიანი საპროცენტო ხარჯი შეადგენს 139,586 ლარს, ხოლო 2022 წელს 92,458 ლარს.

5.7 გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალში აღიარებულია უსასყიდლოდ გადმოცემული ერთი ერთეული წყლის საფილტრი აპარატი NUF-1 MCM. რომლის საბალანსო ღირებულება 2023 წლის ბოლოს შეადგენს 15,862 ლარს (2022 წელს 18,621 ლარი), 2023 წლის განმავლობაში აღიარებული შემოსულობა 2,759.0 ლარს (2021 წელს 690.0 ლარს).

5.8 ამონაგები

	2023	2022
შემოსავალი მომსახურებიდან	1,392,957	1,403,620
<u>სულ ამონაგები</u>	<u>1,392,957</u>	<u>1,403,620</u>

ამონაგები როგორ მიმდინარე, ასევე შესადარის საანგარიშგებო პერიოდში მოიცავს მხოლოდ საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან (სამედიცინო მომსახურების გაწევიდან) მიღებულ შემოსავალს.

5.9 მომსახურების თვითღირებულება

	2023	2022
ნედლეული და მასალები	221,806	273,109
პირდაპირი ხელფასი	578,612	491,209
ცვეთა	96,594	81,589
სამედიცინო მომსახურების ხარჯი	5,595	13,490
პაციენტთა კვების ხარჯი	25,647	0
<u>სულ</u>	<u>928,254</u>	<u>859,397</u>

5.10 ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
ადმინისტრაციის და არასამედიცინო პერსონალის ხელფასი	186,347	178,448
საიჯარო ხარჯი	81,000	81,000
ოფისის ხარჯები	12,456	16,093
კომუნიკაციის ხარჯები	63,630	59,060
მიმდინარე რემონტის ხარჯი	7,351	3,018
ცვეთა	32,789	24,877
სხვა საგადასახადო ხარჯი	2,360	1,876
სხვა საერთო ხარჯები	143,958	137,449
<u>სულ ადმინისტრაციული ხარჯი</u>	<u>529,891</u>	<u>501,820</u>

სხვა საერთო ხარჯები მოიცავს სამეუნეო ხარჯებს, სამედიცინო პროგრამის ხარჯს, საწვავის ხარჯს, დამსაქმებლის მიერ გადახდილ საპენსიო შენატანს, ბანკის მომსახურების საკომისიო ხარჯს, სამედიცინო აპარატურის გეგმიური შემოწმების ხარჯებს, მივლინების ხარჯს, დასაქმებულთა გადამზადების ხარჯებს, ვადაგასული მედიკამენტების ხარჯს, საინჟინრო მომსახურებისა და სხვა ხარჯებს.

5.11 არასაოპერაციო შემოსავლები

	2023	2022
მედიკამენტების უსასყიდლო მოწოდება	23,144	57,906
შემოსულობა საკურსო სხვაობიდან	3,212	85,079
შემოსულობა სესხის პროცენტის სუბსიდირებიდან	67,990	48,315
შემოსულობა გრძელვადიანი აქტივის უსასყიდლოდ მიღებიდან	2,759	690
საპროცენტო შემოსავალი	1,494	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	9,341	4,103
<u>სულ არასაოპერაციო შემოსავლები</u>	<u>107,939</u>	<u>196,093</u>

შემოსულობა სესხის პროცენტის სუბსიდირებიდან მოიცავს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში მიღებულ სესხის პროცენტის თანადაფინანსების თანხებს.

5.12 არასაოპერაციო ხარჯები

	2023	2022
საპროცენტო ხარჯი	139,586	92,458
ხარჯი საკუროსო სხვაობიდან	1,251	8,948
ხარჯი მიღება-ჩაბარების აქტების კორექტირებიდან	17,096	7,815
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	11,136	1,905
<u>სულ არასაოპერაციო ხარჯები</u>	<u>169,069</u>	<u>111,126</u>

5.13 მოგების გადასახადის ხარჯი

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დოკუმენტურად დაუდასტურებელ ხარჯებსა და ისეთ ხარჯებზე დარიცხულ მოგების გადასახადს რომელიც არ არის დაკავშირებული საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან.

5.14 უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების მთლიანი ოდენობა 2023 წელს შეადგენს 77,292 ლარს, ხოლო 2022 წელს 78,675 ლარს. საწარმოს, სხვა სახის ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან შესაბამის საანგარიშგებო პერიოდებში არ განუხორციელებია.

6. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად დაშვებულია გენერალური დირექტორის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი
სალომე გუდავაძე